# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N 2570 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

**„საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისა და სალიცენზიო პირობების შეცვლის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №696 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (№1620-რს, 07/12/2017) მე-2 მუხლის მე-3 და მე-10 პუნქტების, „თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №138 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის საფუძველზე, „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისა და სალიცენზიო პირობების შეცვლის თაობაზე

**თანხმობის მიცემის შესახებ“** საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №696 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

**1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისა და სალიცენზიო პირობების შეცვლის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.**

**2. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიეცეს თანხმობა:

ა) შავ ზღვაში თევზჭერის №1000021 ლიცენზიის მოქმედების ვადა გააგრძელოს არა უმეტეს 2026 წლის 1 სექტემბრამდე;

ბ) შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზი(ებ)ის (ლიცენზია №1000015, ლიცენზია №1000016, ლიცენზია №1000018, ლიცენზია №1000023, ლიცენზია №1000020, ლიცენზია №1000022, ლიცენზია №1000024, ლიცენზია №1000025) მოქმედების ვადა გააგრძელოს არა უმეტეს 2036 წლის 1 სექტემბრამდე.“.

**3. დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 პუნქტები:**

„5. განკარგულების დანართ 1-ის „ბ$^{1}$“, „ბ$^{2}$“ და „ზ$^{1}$“ ქვეპუნქტები გავრცელდეს მხოლოდ შავ ზღვაში თევზჭერის №1000015, №1000016, №1000018, №1000023, №1000020, №1000022, №1000024, №1000025 ლიცენზიებზე (ლიცენზიის განკარგვის შემთხვევაში, აგრეთვე შესაბამის ლიცენზიებზე). ამ პუნქტში მითითებულ ლიცენზიებზე აგრეთვე ვრცელდება ამ განკარგულებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები, გარდა ამავე განკარგულების დანართ 1-ის „ბ“ ქვეპუნქტისა.

6. შავ ზღვაში თევზჭერის №1000021 ლიცენზიაზე (ლიცენზიის განკარგის შემთხვევაში, აგრეთვე შესაბამის ლიცენზიებზე) ვრცელდება ამ გაკარგულებით გათვალისწინებული მოთხოვნები, გარდა ამავე განკარგულების №1 დანართის „ბ¹“, „ბ²“ და „ზ¹“ ქვეპუნქტებისა.“.

**4. განკარგულების დანართ 1-ის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, არა უგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრიდან, საკუთრებაში ჰყავდეს საქართველოში რეგისტრირებული არანაკლებ ერთი თევზსაჭერი გემისა და ერთი გადამზიდი გემისა (ტრანსპორტერი). ზღვრულად დასაშვები თევზსაჭერი გემების ოდენობა ლიცენზიანტებისათვის განისაზღვროს 22 (ოცდაორი) ერთეულით. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ლიცენზიებზე (ლიცენზიის განკარგვის შემთხვევაში, აგრეთვე შესაბამის ლიცენზიებზე) 2026 წლის 1 სექტემბრიდან ზღვრულად დასაშვები თევზსაჭერი გემების ოდენობა განისაზღვრება არა უმეტეს 17 (ჩვიდმეტი) ერთეულით. ლიცენზიის გაცემის შესახებ ბრძანების №1 დანართით განსაზღვრული გემ(ებ)ით ზღვრულად დასაშვები რაოდენობის (22 ერთეულის) გაზრდა შეთანხმებას არ საჭიროებს;“;

„თ) ამ დანართის „ბ“, „ბ¹“, „ბ²“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სალიცენზიო პირობებისა და ვალდებულებების შესრულების დადასტურების მიზნით, ყოველწლიურად, არა უგვიანეს პირველი ნოემბრისა, წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი აუდიტორული მომსახურების გამწევი იურიდიული პირის მიერ გაცემული დასკვნა;“.

**5. განკარგულების დანართ 1-ს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ¹“, „ბ²“ და „ზ¹“ ქვეპუნქტები:**

„ბ[1]) 2019 წლის 1 ოქტომბრიდან ლიცენზიის მოქმედების ვადის დასრულებამდე, თითოეულ თევზჭერის სეზონზე (პირველი ოქტომბრიდან მომდევნო წლის პირველ ოქტომბრამდე, ხოლო ლიცენზიის ბოლო თევზჭერის სეზონის შემთხვევაში, პირველი ოქტომბრიდან 2036 წლის პირველ სექტემბრამდე) უზრუნველყონ მოპოვებული რესურსის არანაკლებ 80%-ის საბოლოო პროდუქტად საქართველოს ტერიტორიაზე გადამუშავება. ამასთან, თევზჭერის ლიცენზიანტმა საბოლოო პროდუქციის წარმოებისას უნდა დაიცვას მოქმედი ტექნიკური რეგლამენტები, სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა და ამ განკარგულების დანართ 2-ის მიხედვით განსაზღვრული ევროკავშირის აქტები.

**შენიშვნა:**

1. იმ შემთხვევაში, თუ სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა და ამ განკარგულების დანართ 2-ის მიხედვით განსაზღვრული ევროკავშირის აქტები ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ლიცენზიანტი საბოლოო პროდუქციის წარმოებისას ვალდებულია, დაიცვას დანართ 2-ით გათვალისწინებული აქტები.

2. საბოლოო პროდუქტად მიიჩნევა სასურსათო საკონსერვო წარმოება, თევზის ან/და სხვა ჰიდრობიონტების, ფქვილისა და ზეთის წარმოება, შებოლვა, კომბინირებული საკვების წარმოება, დამარილება და გაყინვა;

ბ[2]) 2023 წლამდე თითოეულმა ლიცენზიის მფლობელმა დამოუკიდებლად ან სხვა ლიცენზიანტებთან ერთად უზრუნველყოს, ევროკავშირის სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, ნავმისადგომის მოწყობა, სადაც შესაძლებელი უნდა იყოს ერთდროულად არანაკლებ 3 ერთეული გემის მიღება და მათგან თევზის გადმოტვირთვის სამუშაოების განხორციელება. თითოეული ლიცენზიის მფლობელი აგრეთვე ვალდებულია, 2023 წლის 1 ოქტომბრამდე უზრუნველყოს აკვაკულტურის/მარიკულტურის მიმართულების განვითარება, სადაც

განხორციელდება ყოველწლიურად არანაკლებ 300 ტონა თევზის ან/და სხვა ჰიდრობიონტების რესურსის მოშენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან 2023 წლის 1 ოქტომბრამდე დამოუკიდებლად ან სხვა ლიცენზიანტებთან ერთად უზრუნველყოს კომბინირებული საკვების დამამზადებელი ქარხნის მოწყობა, ან 2023 წლის 1 ოქტომბრამდე დამოუკიდებლად ან სხვა ლიცენზიანტებთან ერთად უზრუნველყოს თევზის საკონსერვო ქარხნის მოწყობა. ამ ქვეპუნქტში მითითებული ვალდებულებებიდან არცერთის შეუსრულებლობა წარმოადგენს ლიცენზიის გაუქმების უპირობო საფუძველს;";

„ზ[1]) ლიცენზიის მოქმედების ვადის 2026 წლის 1 სექტემბრიდან 2036 წლის 1 სექტემბრამდე გაგრძელებისთვის, 2020 წლის 30 დეკემბრამდე სრულად გადაიხადონ 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ლარის მის სარგებლობაში არსებული კვოტის პროცენტული წილის შესაბამისი თანხა. ამასთან, ლიცენზიანტი უფლებამოსილია, ისარგებლოს გადახდის შემდეგი გრაფიკით: 2019 წლის 30 დეკემბრამდე – 50%, 2020 წლის 30 ივნისამდე – 25%, 2020 წლის 30 დეკემბრამდე – 25%. ამ ქვეპუნქტში მითითებული ვალდებულებების დარღვევა წარმოადგენს ლიცენზიის გაუქმების უპირობო საფუძველს;".

**პრემიერ-მინისტრი** **მამუკა ბახტაძე**